№ 86

კვირა, 4 მაისი 1897 წ.

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 86

კვირა, 4 მაისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლაოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ნიკოლოზ თადეოზის ძე ხიზანაშვილი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ დღეს, კვირას, 4 მაისს, დილის 10 საათზედ, ავლაბრის წმ. პეტრე-პავლეს ეკკლესიაში გარდახდილი იქნება მეორმოცე დღის პანაშვიდი მისის დედის, მღვდლის **თადეოზ ხიზანაშვილის** ქვრივის **მაგდანის** სულის მოსახსენებლად.

(1—უ—1)

---

სათავად-აზნაურო თეატრი

დირექცია კ. ს. მესხისა საოპერეტო დასი.

დღეს, კვირას, 4 მაისს

**გასტროლი**

გამოჩენილის მომღერალის ქ-ნის

**შერისა**

წარმოდგენილი იქნება

## „ბოშა ბარონი“

(Цыганскій баронъ)

სამ-მოქმედებიანი ოპერ., მუს. სტრაუსისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. შერ, პანოვისა, ბ. რეზუნოვი, ბოგდანოვი, ბრაგინი, სავინი და სხ.

ხვალ, ორშაბათს, 5 მაისს, წარმოდგენილ იქმნება მშვენიერი „**ჰალლატეია**“ სამ-მოქმედ. ოპერეტი, მუს. **ზუპპესი.**

ადმინისტრატორი **ს. ა. გრივენკო.**

რეჟისორი და ლოტბარი **ბ. ვივიენი.**

(1—უ—1)

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ-მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისდა ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

---

11 მაისს, დილის ათს საათზედ, ტფილისის თავად აზნაურობის დეპუტატთა საკრებულო კანცელარიის სადგომში, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სახლში, შედგება **ჩვეულებრივი კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა.** აღმასრულებელი ბორჩალოს მაზრის კეთილ შობილთ წინამძღოლის თანამდებობისა ჰასან ბექ იედიგაროვი აუწყებს რა ამას თავად-აზნაურობას ბორჩალოს მაზრისას, უმორჩილესად სთხოვს: წარმოუდგინონ წინადვე, ვიდრე კრება შესდგებოდეს, საბუთნი თავიანთ უფლებისა არჩევანებში დასასწრებად და თავად-აზნაურთა საქმეების განსახილველად. საბუთნი წარმოდგენილ უნდა იქმნას დეპუტატთა კრებულის კანცელარიაში სიებში ჩასაწერად.—

(3—6.—1)

---

ტფილისი, 3 მაისი.

ჩვენ წინა წერილში *) ვაჩვენეთ რამოდენად ჰბარტყობდა ჩვენში ტრიხინა იმ დღიდამ, რა დღიდამაც დაიწყო თვისი მოქმედება სასანიტარო-სავეტერინარო ზედამხედველობამ „კულტუროსანთა“ მკურნალთა ხელში. დაკლულის ღორის ანგარიშის კვალობაზე რომ ავიღოთ რიცხვი ტრიხინიანებისა, გამოდის:

1893 წ.—0,006%,
1894 წ.——0,3% ცოტა მეტიც,
1895 წ.——0,4% ცოტა მეტიც,
1896 წ.- —0,3% ცოტა მეტიც[1]).

მატება ტრიხინიანის ღორისა აშკარაა და დაუჯერებელი, თუმცა ეს ციფრები ჭეშმარიტია. 1893 წელს საყასბოში დაკლულ ასი ათას ღორში მოდის ექვსი ტრიხინიანი, 1894 წ. ათასზედ—სამზე მეტი, 1895 წელს ათასზე ოთხზე მეტი და 1896 წელს ათასზე—სამზე მეტი.

ასეთმა მატებამ მიიქცია ყურადღება მთავრობისა და არც შესაძლოა არ მიექცია მით უფრო, რომ ტფილისის სამკურნალო ნაწილს გუბერნიის გამგეობისას ყოველ წლივ მისდის სია, საცა ნაჩვენებია სხვათა საკლავთა შორის რამდენი ღორი დაკლულა საყასბოში და იმათში რამოდენი ღორი აღმოჩენილა ტრიხინიანი. ამ მიზეზით, თუ თავისის საკუთარის თაოსნობით, გუბერნიის მკურნალი ბ-ნი ქიქოძე, როგორც მთავრობის კაცი, ერთს მშვენიერს დღეს 1896 წლის მარტში წასულა საყასბოს დასათვალიერებლად და უნახავს, რომ იქავ საყასბოს ახლოს დგანან ზოგიერთი ყასბები, რომელნიც ღორსა ჰხოცვენ და ლორებს ამზადებენ და ჰყიდიან. ყველაზედ ახლო მდგარი კევორქა, თუ გეურქა არუთინოვი, რომელსაც თურმე საკუთარი სახლი ჰქონია და ბ-ნ ქიქოძეს მოუსურვებია უეცრად უწინ აქ გამოეკითხა, აქვთ თუ არა ღორის ხორცი და ლორები.

თვითონ არუთინოვი შინ არ დახვედრია და ცოლი და მამა გამოსულან. ბ-ნ ქიქოძეს უკითხავს: ხომ არა გაქვთ სადმე ღორის ხორცი, ან ლორებიო? უპასუხნიათ: არაო. აბა საკუჭნაო გააღეთო, უბძანებია და არუთინოვის ცოლი და მამა ჯერ უარზე დამდგარან, რადგანაც თვითონ პატრონი შინ არ არის და გასაღებიც არა გვაქვსო. მერე-კი, როცა ბ-ნ ქიქოძესთან ყოფილს პოლიციის ბოქაულს უთქვამს, კლიტეს გავტეხ, თუ თქვენის ნებით არ გააღებთო, უკადრიათ და გაუღიათ საკუჭნავო [2]). საკუჭნაოში აღმოჩენილა სამი ბოჭკა მარილში ჩადებული ღორის ხორცი. ამოუღიათ ხორცი და უნახავთ სხვა-და-სხვა ნაჭერი ღორის ფეხვისა და სხვათა შორის 32 ლორი (ОКОРОКЪ), რომელსაც არა ჰქონია დამღა ქალაქის საყასბოსი, და ექვსი-კი დამღიანი ყოფილა. ბ-ნ ქიქოძეს ერთი უდამღო ლორი გაუსინჯავს საცდელად და იგი ტრიხინიანი აღმოჩენილა. ბ-ნ ქიქოძეს დაუბეჭდია ეს ტრიხინიანი ლო-

*) იხ. „ივერია“ № 85.

[1]) ეს მეტები აღარ მოგვყავს, მეტად წვრილი ნაწილებია და ციფრების აჭრელებას ვერიდებით, თუმცა მათი დამატება უფრო აძლიერებს საბუთს ჩვენის დასკვნისას.

[2]) არ ვიცით, ეს ამბავი სადმე სიგელშია მოხსენებული თუ არა და ნამდვილი-კია და ყოველ ეჭვ გარეშე.

---

# ფელეტონი

—

### ნაწყვეტი

—

ეხლა-კი მწამს, ქვის გული გაქვს,
უწყალო და ულმობელი,
თევზის ცივი სისხლი გიდგა,
უმადლო და საგმობელი;
ვკვდებოდი და მტერიც ისე
დამტიროდა, ვით მშობელი,
შენ-კი, ჩემი სალოცავი,
ქვა-კლდე გაჰხდი უგრძნობელი!..

დ. მჩხანელი

---

### ჩემი უბის წიგნი

ჭრელ-ჭრელი ამბები

3 მაისი

№ 2.

აწინდელი საჭირ-ბოროტო საგანი, რომელიც ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას შეეხება, დღითი-დღე უფრო მეტად იპყრობს საზოგადოების ყურადღებას და უფრო მეტს გავლენას იჩენს. მთელი ინტელიგენცია ახლა ამ საგნის გამო ბჭობს, ამ ჟამთა სიავით არის გამსჭვალული და სხვა საზოგადო საქმე თითქმის მივიწყებული აქვს. ასე გასინჯეთ, მომავალი საბანკო კრებაც-კი არავის ახსოვს. სალიტერატურო კამათსაც დიდი სიცხოველე და სიმწვავე ეტყობა. საკალმოსნო ქიშპობამ და შუღლმა იქამდე მიაღწია, რომ ზრდილობასა და მართებულობას აღარაფრად აფასებენ და კილვასა და კიცხვას მისდევენ. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ აწინდელს საჭირ-ბოროტო ვარამს დასაწყისი და სათავე ცხოვრებაში აქვს, ეს მოვლენა სინამდვილისა და საჭიროებისაგან მომდინარეობს და ამიტომ ასე ღრმად ჰხვდება საზოგადოების სულსა და გულს.

თუმცა სომხურ-რუსული მწერლობა ამბობს, რომ ქართველობისა და სომხობის აწინდელი ურთიერთობა წესიერი და რიგიანიაო და შუღლი ერთმა მუჭამ „ტყუილ-ინტელიგენციამ“ ჩამოაგდოო, მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა. ჩვენებურს მწერლობას არც ისეთი ძალა და გავლენა აქვს, რომ თავის თავად, განგებ და განზრახ, წესიერი და რიგიანი ურთიერთობა უსიამოვნებისა და უკმაყოფილების საგნად გარდაქმნას, ამის გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრას და მთელი საზოგადოება ყალხზედ დააყენოს. ამ შემთხვევაში მეტადრე „ტყუილ-ინტელიგენცია“ ხომ უფრო ღონე მოკლებულია. მაშასადამე, თუ ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა ჟამთა სიავედ გადაიქცა და ამ სიავემ მთელის ერისა და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, ეს იმისი საბუთია, რომ ურთიერთობა ისეთი არ არის როგორიც სასურველი და სანატრელია.

ამბობენ, რომ აწინდელი საჭირ-ბოროტო ვარამი გუშინდელი საქმეა და საეროვნო აქ არაფერიაო, მაგრამ ესეც მართალი როდია. ჯერ ერთი, რომ უკუღმართი ურთიერთობა დიდი ხანია დაიწყო. ეს მაშინ მოხდა, როცა ორმოციან წლებში სომხურმა ინტელიგენციამ „ასკასეროზის“ დროშა აღმართა, მაგრამ ამ საეროვნო თვით-ცნობიერების აღორძინებას თაღლითი მიმართულება მისცა, მეზობლის საკუთრებისაკენ დაიწყო ხელის წვდენა და იმათის უფლების შელახვას არ მოერიდა. იმ დროიდგან მოკიდებული აქამომდე ეს „ასკასეროზა“ სულ იმ ცდასა და ფიქრში იყო, რომ მეზობლის წარსულისა და აწმყოსათვის პატივი აეყარა, უცხოეთში სახელი გაეტეხა და თავისი ბატონობა, უპირატესობა დაემყარებინა. აიღეთ თუნდა ბ-ნი კუტული, რომლის კალმის მეოხებით მთელი საქართველო ასე დაამცირეს ევროპაში. მოიგონეთ რუსულსა და ქართულს გაზეთებში დაბეჭდილი არა ერთი და ორი ამბავი, თუ როგორ იჩემებდნენ სომეხნი ჩვენს საისტორიო ნაშთებს და მაშინ დარწმუნდებით, რომ აწინდელს ჟამთა სიავეს საბუთი წარსულში მოეპოვება და იგი აღმოცენილია საეროვნო ნიადაგზედ. დიაღ, ამ ჟამთა სიავეს ფესვი ღრმად აქვს გამდგარი წარსულში და წარმოადგენს ისეთს სენს, რომელსაც დიდად ესაჭიროება მკურნალობა. თუ ამ სენს ახლავე არა ეშველა-რა, ყოვლად შეუძლებელია სათნოიანი და სამართლიანი ურთიერთობა როდისმე დაარსდეს. ამიტომ ყოველს მწერლობას თავისს წმიდა მოვალეობად უნდა მიაჩნდეს, ეს სენი ჯეროვანად და ვრცლად გამოიკვლიოს და წამალი მოუძებნოს.

—

სამწუხაროდ, სომხურ-რუსული მწერლობა ასე როდი იქცევა. ეს მწერლობა, თითქო განგებ თვალს ჰხუჭავსო, სულ იმას გაიძახის, რომ აწინდელი დავიდარაბა, ახლანდელი საჭირ-ბოროტო ვარამი გაზ. „კავკასი“-ის ახალის რედაქტორის ბ-ნ ველიჩკოს ხელთა ქმნილებაა, მისი საკუთარი საქმეა, იგი სთესავს შურსა და მტრობასაო. როცა ბ-ნი ველიჩკო აქ არ იყო, ქართველთა და სომეხთა შორის სრული სიჩუმე და სიმშვიდე არსებობდა, მოვიდა იგი და განხეთქილებაც მოიტანაო. რა საკვირველია, ყველამ ვუწყით, რომ სიჩუმე და სიმშვიდე რა დიდად სანატრელი და სანუკარია მევაჭრისა და მევახშისათვის, ძმობისა და ერთობის ღაღადისი რა ძვირფასი საუნჯეა ბურჟუაზიისთვის და ამიტომ ადვილად გაიგებთ და მიხვდებით, თუ რად ჰგოდებენ და იცრემლებიან ჩვენი მეზობელნი. მაგრამ ყოვლად გაუგებარი და მიუხვედრელია-კი ის შეხედულობა, ვითომ ბ-ნი ველიჩკო დამნაშავე იყოს და ვითომ იმას ჩამოეგდოს ჩვენში საეროვნო შური და მტრობა. ვისაც საზოგადოებრივის აზრისა და ცხოვრების განვითარება ესმის და შეგნებული აქვს, რომ ეს განვითარება საკუთარს გზას ადგია და თავის კანონს ექვემდებარება, იმისათვის ისიც ცხადია, რომ კალმის მოსმით არც ბ-ნს ველიჩკოს და არც სხვას ვისმეს არ ძალ-უძს შესცვალოს ურთიერთი დამოკიდებულება ორის მეზობელ ერისა. თუ, მართლა, იგი ურთიერთ დამოკიდებულება იცვლება და სიამოვნების მაგიერ უსიამოვნება არსდება, მაშინ ამისი მიზეზი თვით ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ.

რი და რადგანაც გვიან ყოფილა და სხვების გასინჯვა ველარ მოუსწვრიათ, სულ, რაც ღორები უპოვიათ არუთინოვის საკუჭნაოში, ბ-ნ ქიქოძეს ჩაუბარებია პოლიციის ბოქაულისათვის, შეუკვეთნია გადიტანოს იქავ საყასბოს სამიკროსკოპო სადგურში და იქ შეინახოს ხელ-უხლებლად, ვიდრე ახალს განკარგულებას მიიღებდეს [3]).

მეორეს დღეს, თუ ცოტა მერმედ, ეს 32 ღორი, ნაპოვნი არუთინოვის საკუჭნაოში, გასინჯულ იქმნა მიკროსკოპის შემწეობით და 32 ღორში აღმოჩნდა 22 ტრიხინიანი, რომელიც შეადგენს $68\frac{3}{4}\%$ $(\frac{22\times100}{32}=68\frac{3}{4})$, თუმცა ოქმებში-კი ნაჩვენებია 65%, ისევე ამ რიცხვებიდამ გამოყვანილი.

ადმინისტრაციამ რაკი შეიტყო ბ-ნ ქიქოძესაგან ეს ამბები, მაშინვე აცნობა ტფილისის მოურავსა და, რა უჩვენა ნაკლულევანებანი ტფილისის საყასბოსი და სავეტერინარო ზედამხედველობისა, აღნიშნა, რომ ტფილისის საყასბო აღმოჩნდა ტრიხინების გამრავლების ბუდედაო. ამასთანავე დაავალა მიეღო ზოგიერთი ზომა წესისა და რიგის ჩამოგდებისათვის. აქ ფრიად შესანიშნავია ერთი გარემოება და ვთხოვთ მკითხველებს ყურადღება მიაქციონ და კარგად დაიხსომონ. საქმე ის არის, ადმინისტრაციას მიუწერია ზემოხსენებულ ამბებთან ერთად, რომ თუ ვინიცობაა სავეტერინარო ზედამხედველობისათვის კაცები ნაკლები გყავთ და ვერ ასდიან თავისს საქმეს, ადმინისტრაცია მზად არის თავისი ვეტერინარები მოგაშველოთო. იქნება გეგონოთ, რომ ბრწყინვალე გამგეობას „კულტუროსნებისას" ამისთანა გულ-მოდგინებისათვის მადლობა შეუთვლია და სიხარულით მიუღია ესეთი შველა და შემწეობა ადმინისტრაციისა? ნურას უკაცრაოდ. გამგეობას დაუდგენია: ცნობილ იქმნას, რომ საჭირო არ არის შევაწუხოთ მთავრობის ვეტერინარებიო, ჩვენებიც საკმაონი არიანო.[4])

გამგეობამ მოსთხოვა ცნობანი სავეტერინარო ზედა-მხედველობის უფროსს ისპანდარიანცსა და, მიიღო რა ეს ცნობანი, დაწვრილებით გამოკვლევა გეურქა არუთინოვის ტრიხინებისა დაავალა გამგეობის წევრს ბ-ნს ხოსროევს. ბ-ნმა ხოსროევმა უარი სთქვა და იცით, — რა საბუთით? მე სავაჭრო სამეურნეო (торгово-хозяйственная) პოლიცია მაბარიაო და რადგანაც არუთინოვს სხვათა შორის ბრალი ედება, რომ ჩუმად უხოცნია ღორი და ეს საგანი საკუთრივ მე მექვემდებარებაო, ამიტომაც შეუსაბამოდ (неудобнымъ) მიმაჩნია ჩემს ხელ-ქვეითებს მოხელეებზე გამოძიება მევე მოვახდინოო და ვთხოვ გამგეობასა დადგენილება თვისი გააუქმოს და სხვას წევრს გამგეობისას დაავალოსო. ეს საბუთი შეუწყნარებია გამგეობას, გაუუქმებია პირვანდელი განაჩენი თვისი და ახალის განაჩენით გამოძიება დაუვალებია ბ-ნ ივანენკოსათვის.

ჩვენ არ ვიცით, იქნება მართლა შეუსაბამო იყოს უფროსმა მოხელემ უმცროსს საქმეები და მოქმედება გაუსინჯოს, ანგარიში მოქმედებისა მოჰკითხოს, ავ-კარგიანობა გამოუძიოს. ჩვენ ამაზე ვერას ვიტყვით, იმიტომ-რომ „უკულტუროთა" თესლის კაცნი ვართ, ჩვენ „კულტურა" ძილში გაგვეპარა და იქნება ამ ახალ მოდურმა „კულტურამ" ეს პირდაპირი ვალდებულება უფროსის მოხელისა გარდასცვალა, ან გააუქმა და ჩვენ სად დავინახავდით? ხოლო ეს-კი უეჭველია, რომ „კულტუროსანთა" გამგეობა იმ მართლა და შეუსაბამო მოძღვრების მიმდევარი და მორწმუნე ყოფილა, რომ უფროსის მოხელისათვის შეუსაბამობაა სინჯვა და ძიება უმცროსის მოქმედებისა.

ჩვენ-კი, ამ „კულტურა"-მოკლებულებს, დღესაც გვგონია, რომ უფროსს მოხელეს არავინ დაემდურება, რომ სხვისაგან დაუვალებლადაც მოქმედება თვისის ხელქვევითისა განიკითხოს. უკან ჩამორჩენა იქნება და ასეთი... მართალნი არიან „კულტუროსანთა" გაზეთები: ძალიან ჩამოვრჩენილვართ ჩვენ, ქართველნი, „კულტუროსანთა" მიერ ქადებულს და მოტანილს „კულტურასა"!..

ბ-ნი ივანენკო რუსია და ნეტა რუსი რომ არ ჰყოლოდათ, გამოძიებას „კულტუროსან" არუთინოვის საქმისას, საცა „კულტუროსანთავე" მკურნალნი ჰფუსფუსებენ, ვინ იკისრებდა დანარჩენ გამგეობის „კულტუროსან" წევრთა შორის? რა თქმა უნდა და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ამისთანა წევრნიც აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ ეს წყეული საკითხი, გინდა თუ არ გინდა, ენის წვერზე დაეკიდება კაცს, ყოველ ამის გამგონსა, აშკარაა, უმიზეზოდ და უსაბუთოდ-კი.

ბ-ნმა ივანენკომ იკისრა და შეუდგა გამოძიებას. გამოძიება, რომელიც ბ-ნმა ივანენკომ წარუდგინა გამგეობას და მერე გამგეობამ საბჭოს, საკმაოდ საფუძვლიანი გამოძიებაა, იმოდენად საფუძვლიანი, რომ ნასკვი საქმისა დასანახავ იქმნა და საბჭოში, როცა იგი გამოძიება მოახსენეს პირველად, არა ერთმა და ორმა ხმოსანმა საკმაოდ დაინახა საქმე პროკურორს გადაეცეს. გამოძიება ბ-ნის ივანენკოსი ჩვენ ხელთა გვაქვს. ჩვენ იგი საკმაოდ საფუძვლიანად ვიცანით, რადგანაც „მართალი" ბოროტ-მოქმედებისა, როგორც „ფაქტი", უეჭველად დადგენილია. დამტკიცდა ადმინისტრაციის დასკვნა, რომ ბუდე ტრიხინების ბღარტობისა სწორედ ტფილისის საყასბო ყოფილა. ამ გამოძიებას მხოლოდ ერთი ნაკლულევანება შევნიშნეთ: ბოროტ-მომქმედი ვერ გამოაჩინა. ბოროტ-მომქმედი დაიკარგა ოთხ სულიერთა შორის: ერთი ბ-ნი ისპანდარიანცია, უფროსი სავეტერინარო ზედა-მხედაობისა, მეორე ტერ-სიმონიანცი, მესამე გეურქ თუ კევორკ არუთინოვი და მეოთხე იცით ვინ? სასაცილოა სათქმელად: თაგვები! დიახ, თაგვები, საყასბოს თაგვები, რომელთ ხსენებაც არ არის ბ-ნ ივანენკოს გამოძიებაში. თაგვები აქ რა სახსენებელია, იკითხავთ? მერე ჰნახავთ რა სახსენებელიც არის. ეხლა-კი ამას ვიტყვით: ეგ თაგვების მონაწილეობა რომ სცოდნოდა ტფილისის „კულტუროსანთა" საბჭოს, მთელი ერთი წელიწადი არ გააჭიანურებდა ამ საქმეს და იმ მოძღვრობით, რომ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ამ თაგვებს გადააბრალებდა ყველაფერს და სახელოვანს ტრიხინის საქმეს არუთინოვისას პირველჯერვე, ესე იგი, შარშანვე ჩაილულის წყალს გაატანდა და აღარ მოუნდებოდა წელს, ამ ერთის კვირის წინ, დაედგინა: დავიწყებას მივცეთო. ჩვენ ვირჯებით ვითარცა პირ-უთვნელი და მიუდგომელი მკვლევარი საქმისა და ეხლახნის დადგინებას საბჭოსას ხელ-ჩასაჭიდებელი და გასამართლებელი საბუთი მოვუნახეთ და ვუპოვეთ კიდეც. თუ რომი, დიდი რომი ბატებმა დაიხსნეს, ტფილისის საბჭო რომ თაგვებმა დაიხსნან — რასაკვირველია, ან სათაკილო და სასაცილო რად უნდა იყოს!

ბოდიშს ვიხდით, რომ ამ საოცარს საქმეს ტრიხინებისას ესე წვეთ-წვეთად ვაწვდით მკითხველს. ჯერ ისტორიის დასასრული კარგა შორს არის და ვეცდებით ამ ერთს კვირაში გავათავოთ.

[3]) ეს უტყუარის საბუთით შეგვიძლიან დავამტკიცოთ.

[4]) როგორც ეს ამბავი, ისეც დანარჩენი სხვები, რაც ქვევით იქმნება, უტყუარ საბუთებზეა დამყარებული.

## მთავრობის განკარგულებანი

ჯილდო ებოძათ: ყოვლად უმოწყალესად ებოძა სასულიერო უწყებაში გაწეულ ღვაწლისათვის ვერცხლის მედალი ყელზედ სატარებლად სტანისლავის ლენტის ზედ-წარწერით „გულ-მოდგინეობისათვის" დუშეთის მაზრის სოფ. ახალგორის წმ. გიორგის ეკკლესიის მნათეს, მეორე გილდის ვაჭარს ივანე ცაგარელს.

დანიშნულ იქმნენ: სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, მისის იმპერატორებით უდიდებულესობის კარის კამერ-იუნკერი, სტატსკი სოვეტნიკი თავადი ივანე რამაზის ძე ანდრონიკაშვილი — ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ შუამავლად.

მაიორი მილიციისა ისაკ-შარიფბეგ-ოღლი აჰარსკი და სენაკის მაზრის სოფელ ზანძას მცხოვრებელი მილიციის იუნკერი თავადი აბესალომ ფალავა — ტფილისის გუბერნიის სოფ-

---

კერძო კაცი და ლიტერატორი, თუნდ დიდად ბოროტიც იყოს, აქარაფერს იზამს და ვერას გახდება. ესევე უნდა ითქვას ქართველობისა და სომხობის აწინდელს დამოკიდებულებაზედ. თუ მართლა ეს დამოკიდებულება შეიცვალა, ამისი მიზეზი მთლად ცხოვრების საჭიროება და მიმდინარეობაა, სხვა არაფერი.

უკვე ვთქვით, რომ ცნობილმა „ასკასერობამ" ისეთი განცალკევების ხაზი გაავლო სამეზობლო ცხოვრებას, რომ უსიამოვნება მიუცილებელი შეიქმნა. ამ უსიამოვნებას ძირი და ფესვი ღრმად გაედგა ცხოვრების უკუღმართობაში და, აგრე თუ გვიან, დამოკიდებულება უნდა შეცვლილიყო. ბ-ნ ველიჩკომ მხოლოდ აღნიშნა უკუღმართობა. პუბლიცისტს სხვა რამე მეტი არც მოეთხოვებოდა. მოგეხსენებათ, იგი მხოლოდ ცხოვრების საჭიროებისა, ამ ცხოვრების ავისა და კარგის გამომხატველი და გამომეტყველია. თუ მეტაფორულად ვიტყვით, იგი ქვევრია, რომელიც, რასაც ცხოვრება ჩასძახებს, იმას ამოიძახებს; ანუ კიდევ — ფოტოგრაფია, რომელიც იმასა ჰხატავს, რასაც სინამდვილე წარმოადგენს, და ვისი ბრალია, რომ ან ნამდვილი ღაღადისი ან უტყუარი სურათი ცხოვრებისა არავის მოეწონოს. საყვედურისა და სამდურავის მაგიერ ბ-ნი ველიჩკო უფრო მადლობის ღირსია, რადგანაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია აწინდელს ჟამთა სიავეს და საქვეყნოდ წარმოსთქვა, რომ საჭიროა და სასარგებლო, უფრო სათნოიანი და სამართლიანი ურთიერთობა დაარსდეს მეზობელთა შორისო. ამიტომ უმეცრება თუ იტყვის, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ ველიჩკომ ზარალი და ვნება მოუტანა ქართველობას და სომხობასაო...

თუმცა ასეა, მაგრამ დღე ისე არ გავა, რომ სომხურ-რუსულმა გაზეთობამ ბ-ნი ველიჩკო კიცხვითა და კილვით არ მოიხსენიოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამას წინად ერთის გაზეთის რაინდმა პირდაპირ გამოაცხადა, გაზეთი „კავკასი" ქუჩის ფურცლად გარდაიქცა და საჭიროაო... იცით რა? — ახალი რედაქტორი იშოვნონო!.. მეორე რაინდი კიდევ ამბობდა, რუსული დროშა შეილახა, რადგანაც გაზ. „კავკასის" მედროშემ წერა-კითხვაც-კი არ იცისო!.. დიაღ, არ იცისო!.. პირადს შეურაცხებას ხომ დასასრული არა აქვს. ბურჟუაზული მწერლობა არც ერთს საშუალებას არ ერიდება და არც უფრთხის, ოღონდ-კი თავისი მეტოქე ჩააჩუმოს. რასაკვირველია, ეს კილვა და კიცხვა, ეს საინკვიზიციო წამება და დევნა მწერლობის უმართებულობასა და გახრწნილებას ამტკიცებს. სასაცილოა, როცა ასეთი მწერლობა ძმობასა და ერთობას ჰქადაგებს და იმავე დროს-კი ამ მოძღვრებას თითონვე ფეხ-ქვეშ სთელავს. მაგრამ უფრო სასაცილოა, როცა მწერლობას ისიც არ ესმის, რომ ვისისამე პიროვნებას აწინდელი დავიდარაბაში არავითარიმე მნიშვნელობა არა აქვს და საზოგადოებრივი აზრი, საეროვნო გრძნობა თავისის გზით ივლის, თუნდ ბ-ნი ველიჩკო იყოს გაზ. „კავკასი"-ს რედაქტორად და თუნდ „ერთი მრავალ რუსთაგანი"!..

—

ეს გაზეთები თავის მეტოქეს სხვათა შორის, უკიჟინებენ, მარტო ქართველობას ჰფარველობ და მხოლოდ იმას აფარებ მოწყალების კალთასაო. ამ კიჟინის მიზეზი ისაა, რომ ჩვენებიანი დარწმუნებულნი არიან — ქართველობა სულსა ჰლევს, ამ მოკლე ხანში თავისს პატრონსს ჩაჰბარდება და მისი მამულ-ადგილი ჩვენ დაგვრჩებაო. ეს მემკვიდრეობა დიაღ რომ სახარბიელოა და როცა ვინმე სულთა მაბრძოლს ერს ესარჩლება, რა საკვირველი უნდა იყოს, რომ ეს მემკვიდრეს არ ესიამოვნებოდეს. მაშ ტყუილად-კი არ უხარიან სომხურ-რუსულის გაზეთის ერთს რაინდს, რომ სომეხმა ვაჭარმა და მევახშემ სრულიად გაანადგურა და დაიმონავა ქართველი თავად-აზნაურობა და მისი სარჩო-საბადებელი თითონ დაისაკუთრაო. სხვანი რაინდნი ამავე ბედს უქადიან დანაშთენ ქართველობასაც. მაგრამ ამაოდ ჰფიქრობენ, ვითომ ქართველობა ისე დაუძლურდა და დაძაბუნდა, რომ ვისიმე მფარველობა ესაჭიროებოდეს. მართალია, ჩვენი საზოგადოება და მეტადრე დიდ-კაცობა ნივთიერად გაღარიბდა, მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს სრულს გაკოტრებას, საეროვნო დაუძლურებას და დაძაბუნებას. ქართველობას ჯერ კიდევ საკმაო გონებრივი და ზნეობრივი ძალა მოეპოვება. ხოლო სადაც ესეთი ძალაა, იქ სიღარიბე დროებითი მოვლენაა. სიმდიდრესაც გონებრივი და ზნეობრივი ძალა ჰქმნის, ხოლო მართალის გზით შეძენილს სიმდიდრეს და არა ისეთს, რომლითაც „ჩვენიანები" მედიდურობენ და ჰბრწყინავენ. საჭიროა მხოლოდ ამ ძალას მიეცეს გზა ფართო, ასპარეზი გაეხსნას.

არც ძველს ივერს დაუკარგავს თავისს მეზობლობაში სახელი და პატივი და ტყუილად უხარიანთ „ვოქსებს" და სხვა-და-სხვა „მოპსებს" ვითომ იმედსა და სასოებას მიხდილი ქართველობა „პოლიციურს მფარველობას" ებღაუჭებოდეს, თავისს „მხსნელად" იმათი მეტოქე მიაჩნდეს და სომხობისაგან დამარცხებული „მიშველეთ!" იძახოდეს... ქართველობა აქამდე არ მისულა და, ღმერთია შემწე, არც მივა. საეკონომიო თვით-მოქმედება და თაოსნობა ფეხს იდგამს და იმედია, რომ თანდათან აღორძინდება და ძლევა-მოსილი შეიქმნება. ამისი ნიშანი და მაგალითი არა ერთი და ორია. ახლა საზოგადოებამ შეიგნო და შეიტყო, რომ ხსნა და შველა უფრო ჩვენზედ უნდა იყოს დამოკიდებული და სხვის ხელთ ცქერა მაგრე რიგად არაფერს სარგებლობას მოგვიტანს. ამას გარდა, ნელ-ნელა არსდება და ვრცელდება განათლების ისეთი დარგიც, რომელსაც საგნად საეკონომიო წინმსვლელობა აქვს. ყოველივე ეს და თითო ოროლა სხვა გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ჩვენებიანნი ამაოდ დროს ჰკარგავენ, რომ ახლავე ანდერძს გვიგებენ და ალილუიას დაგვძახიან. ხოლო იმათნი რაინდნი უფრო კიდევ სასაცილოდ იქცევიან, როცა ხმას ავრცელებენ, ქართველობა ისე დალაჩრდა და დასუსტდა, რომ სხვის მფარველობას ეძებსო. არა, საქმე ეგრე არ არის და მაგას არც ვინ მოესწრება.

სომხურ-რუსულ გაზეთების მეტოქე დიდ პატიოსანი მწერალია, რომელიც სიმართლესა და უფლებას ესარჩლება. იმისთვის ყველა კავკასიელი ერი თანასწორია და დროშაზედაც ეს თანასწორობა უწერია. სწორედ ამ თანასწორობის ძალითა და აზრით დაიწყო ბჭობა ქართველთა და სომეხთა ურთიერთობაზედ და თუ ეს ჩვენებიანებს არ იამათ, იმის მიზეზი მათი ლაღობა და ნავარდობაა. ამ ლაღობასა და ნავარდობას ახალმა ღაღადისმა ფრთები შეაკვეცა და უსიამოვნოდაც ამიტომ დარჩნენ. მაგრამ საყურადღებოა, რომ სომხურ-რუსული მწერლობა ცალიერ უსიამოვნებას არა სჯერდება და ყოველ გვარ სალიტერატურო უკადრისს ღონეს ჰხმარობს თავისის მეტოქის შესამუსრავად. ეს მწერლობა მზად არის ჯვარსაც-კი აცვას თავისი მოქიშპე! ჭეშმარიტად სთქვა ჰეინემ — სადაც კაცი მართალს იტყვის, იქვეა მისი გოლგოთაო! მაგრამ ჩვენ მაინც არა გვგონია, რომ სომხურ-რუსულ გაზეთების ჯვარსა და გოლგოთას შეუშინდეს ვინმე...

Plebs

ლობის დარაჯის დისტანციის უფროსებად — პირველი ახალციხის მაზრისა, ხოლო მეორე, თავადი ფაღავა, დუშეთის მაზრისა, თანამდებობის აღმასრულებლად.

დამტკიცებულ იქმნა: თელავ-თიანეთის მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელი, კოლლეჟსკი ასესორი თავადი ვეზირიშვილი თავისს აწინდელს თანამდებობაზედ.

---

# ახალი ამბავი

—

*** ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრნი: ბ-ნნი ნ. ვ. აკიმოვი, თ. პ. ს. აბაშიძე, მ. მ. ტებენკოვი, მდივანი ა. თ. ყიფშიძე და ტფილისის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი გუშინ, 3 მაისს, დილის 9 საათზედ, გაემგზავრნენ ტფილისის მაზრის სოფ. ყარაჯალისაკენ მებატონე ალალართა და გლეხებს შორის საძოვარ მამულების შესახებ ატეხილ დავიდარაბის ადგილობრივ გასარჩევ-გადასაწყვეტად. ამ საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნება ორივე მხრისათვის, რადგან დავი-დარაბა ატეხილია 1,000 დღიურზედ მეტ საძოვარ ადგილ-მამულის სარგებლობისა გამო.

*** 26 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატაში ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარის თავ. ნ. ი. ამატუნისა და ამავე საზოგადოების ბუჰგალტრის ბ-ნ ამირალოვის საქმეა განსახილველად დანიშნული. როგორც ვიცით, ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია, მაგრამ ბრალდებულნი ოლქის სასამართლოს განაჩენს არ დაჰყაბულდნენ და აპელაციით საქმე პალატაში გარდაიტანეს.

*** პარასკევს, 2 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზედ ქალაქის გამგეობაში სახმოსნო კანდიდატების სიების წარდგენა დასრულდა. საღამოს ყველა სია, ხმოსნებისა და სხვა-და-სხვა დასის წარმომადგენელთა თანადასწრებით, გამგეობამ გახსნა. სიები გამოქვეყნებული იქმნება 6 მაისს.

კრებაზედ დასასწრებლად აქამდის 756 ბარათია წაღებული, რომელთაგან 214 მოვაჭრეებს აქვთ მიღებული. როგორც ცნობილია, ასეთ ბარათის მიღება ამომრჩეველს 18 მაისამდე (არჩევანების დღეა) შეუძლიან.

*** ტფილისის მესამე კლასიკურ გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ამ გიმნაზიის მე-2, მე-3 და მე-4 კლასში მისაღები ეგზამენები მიმდინარე მაისის 5, 7 და 8 იქმნებაო. ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, კანდიდატად იქმნება ჩარიცხული მომავალ სამოსწავლო წლიდგან (ამა წლის სექტემბერს) გიმნაზიაში მისაღებად.

*** დ. სამტრედია. ამას წინად აქ ვიღაც ბოროტმა კაცმა ღამის 7 საათზედ გალახა ჯოხით სამტრედიის მეაფთიაქე ა. სვაცინსკი; ავადმყოფი წაიყვანეს ტფილისის საავადმყოფოში, სადაც რამდენისამე დღის ავადმყოფობის შემდეგ საბრალო გარდაიცვალა. ა. სვაცინსკის რამდენიმე კაცი ემტერებოდა სამტრედიაში, ეჭვიც იმათზედ აიღეს და გამოძიება სწარმოებს.

*** ს. ქწერა, (ქუთაისის მაზრა). ამას წინად ამ სოფელში მცხოვრებმა გლეხმა ვასილ კოპალეიშვილმა მოიტაცა ამავე სოფლის ვერულეიშვილის ქალი, რომელზედაც უნდოდა ჯვარი დაეწერა. მაშინვე გაუჩნდნენ მდევრები; დაიჭირეს ქალი დ კაციც ტობანიერის საზოგადოებაში; როდესაც ორნივე წარმოადგინეს თავიანთ სოფლის სამმართველოში და ჰკითხეს ქალს, წაჰყვები ამ კაცს თუ არაო, მან ნათესავების ჩაგონებით უარი განაცხადა; უნდა შემდგარიყო ოქმი და გარდაეცათ, სადაც ჯერ იყო, მაგრამ მორიგება ჩამოვარდა; ვასილ კოპალეიშვილს მიაცემინეს ორასის მანეთის სესხის წერილი. ორი თვის შემდეგ საწყალი კოპალეიშვილი ჩავარდა ლოგინად, იავადმყოფა ერთი თვე და დიდის ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა 22 აპრილს. რადგან კოპალეიშვილი ღარიბი კაცი იყო, მისი ორასი მანეთი დღეს თავდებებმა უნდა ჰზღონ. ხმა გავარდა, რომ საწყალი კოპალეიშვილი ამ ქალის ჯავრით გარდაიცვალაო.

*** 2 მაისს, სასანიტარო ექიმმა ბ-ნმა გედევანიშვილმა პოლიციის მოხელის თანადასწრებით დაათვალიერა მადათოვის კუნძულის დუქნები და ტრაქტირები. აზ. ბესარიონ მხეიძის დუქანში რამდენიმე გირვანქა უვარგისი თევზი იპოვა და მაშინათვე გადააყრევინა მტკვარში. მეხვის მეეთზელ დუქნების პატრონებს-კი გამოუცხადათ, რომ სუფთად გქონდეთ შენახული ყველაფერი, თორემ სამართალში მიგცემთო.

*** 1 მაისს, ნაშუადღევისას, მე-9 ნაწილში, მილოვის სახლებში, თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით ტავრიდის გუბერნიის ქ. ბერდიანსკში მცხოვრებელმა 18 წლის ქალმა მარიამ მიხეილის ასულმა იოველისამ. მოწამლული მაშინვე მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და მოასულიერეს. მარიამ იოველისა ურიის ქალი ყოფილა, მონათლულა და მიხეილ იოველს აუყვანია აღსაზრდელად. თავის მოწამვლის წინა დღეებში მალა დაუტანებია ქალისათვის, რომ ლუდხანაში დადექ და ლუდით ივაჭრეო, ქალს ეს არ უქნია და თავის მოკვლა განუზრახავს კარბოლის სიმჟავით. სახე თუმცა დამწვარი აქვს კარბოლის სიმჟავისაგან, მაგრამ, იმედია, სიკვდილს გადარჩეს.

---

## სასამართლოს მატიანე

ტფილისის ოლქის სასამართლომ 2 მაისს ეკატირინე ნონიკოვისა და იოსებ მურადოვის საქმე განიხილა, რომელთაც, როგორც ვიცით, მევახშეობა ედებოდათ ბრალად.

სასამართლოში ოცამდე მოწმე იყო მიწვეული, რომელთა უმეტეს ნაწილს ნონიკოვისა და მურადოვისაგან ცუდი დღე დასდგომოდათ. ესენი უმეტესად ან სამსახურიდგან გადამდგარი მოხელენი არიან, ან იმათი ცოლები, რომელთაც მთავრობისაგან პენსია აქვთ დანიშნული, და ან წვრიმალი მოხელენი. პენსიის მქონენი, როცა ხსენებულ მოვახშეებისაგან ფულს სესხულობდნენ, ამ უკანასკნელთ თავის საპენსიო წიგნაკს აძლევდნენ თურმე, რწმუნების ქაღალდს, რომ ხაზინიდგან ფული მიეცათ იმათთვის და აგრეთვე თამასუქს იმ შემთხვევისათვის, თუ თავიანთ რწმუნების ბარათსა და საპენსიო წიგნაკს უკანვე გამოართმევდნენ. ამასთანავე, რაც მომეტებულ ყურადღების ღირსია, თამასუქში ორი იმდენი ფული იწერებოდა, რამდენსაც ნონიკოვისა და მურადოვისაგან სესხულობდნენ. მაგალითად, ქვრივს სოფიო კალინინისას 1891 წ. 107 მან. რწმუნების ბარათი და წიგნაკი მიუცია ნონიკოვისათვის და ამასთანავე 214 მან. თამასუქი. ფული აუღია-კი ნონიკოვისაგან სულ 60 მან., რადგან ერთი წლის სარგებელი და რწმუნების ბარათის დასამტკიცებელი, სულ 38 მ. 50 კაპ., წინდა-წინვე აუღია ნონიკოვისას და გარდა ამისა მურადოვსაც სადალალო 5 მან. ერთი წლის შემდეგ კალინინისას თავისი თამასუქი მოუთხოვია ნონიკოვისაგან; ამ უკანასკნელს უთქვამს, რომ მურადოვის ხელით გამოგიგზავნიო, მაგრამ, თამასუქის დაბრუნების ნაცვლად, 1894 წ. მურადოვს საჩივარი შეუტანია სასამართლოში — ნონიკოვისას ჩემი 214 მან. ჰმართებსო. ამ გვარის პირობებით, კალინინის გარდა, სხვეიბსთვისაც უსესხებიათ ფული ნონიკოვისას და მურადოვს. ხშირად ასეც მომხდარა, რომ მურადოვი, ფულის ნაცვლად, ბარათებს აძლევდა ფულის სასესხებლად მიმსვლელთ ამა თუ იმ დუქნიდგან საქონლის მისაღებად, და თითონ-კი დიდძალ ფულის თამასუქს იღებდა.

სახლის გაჩხრეკის დროს ნონიკოვისას და მურადოვს მრავალი თამასუქი უპოვნეს, სხვა-და-სხვა კაცთაგან მიცემული და, გარდა ამისა, მურადოვს 70 აღმასრულებელი ფურცელიც.

ბრალდებულები თავიანთ თავს დამნაშავედ არ სთვლიდნენ და ამბობდნენ, რომ ფულს, მართალია, ვასესხებდით, მაგრამ 10—12%-ზედ მეტი არავისთვის გამოგვირთმევიაო.

ოლქის სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავეთა სცნო და მიუსაჯა: მურადოვს ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და საპატიმროში დაპატიმრება 10 თვით და 20 დღით, ხოლო ნონიკოვისას ყოველივე განსაკუთრებული უფლებათა ჩამორთმევა და 5 თვით და 10 დღით დაპატიმრება.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „კავკასში“ (№ 109) დაბეჭდილია შემდეგი წერილი ბ-ნ გიორგი აბრამის ძის ხუციშვილისა:

ადამიანის უმართებულო საქციელს რომ ვსედავ ხოლმე, ვცდილობ ეს საქციელი უპირველეს ყოვლისა მიგაწერო შემთხვევას, უყურადღებობას, დაუდევრობასა და სხვა ამ გვარ მიზეზებს და მხოლოდ მაშინ, როდესაც უტყუარი საბუთი ხელთა მაქვს — ადრევე მოფიქრებულს განზრახვას. ამ მხრივ შევხედე მე აქაურ „ქალაქის წარმომადგენლების საქციელს ჩემდა მომართ, მაგრამ ვერც ერთს ზემოხსენებულს მიზეზს ვერ მივაწერე და დაე თითონ დამეხმარნენ ამაში. მე სახლი მაქვს ტფილისში, მიხეილის ქუჩაზედ და ვიხდი ყოველ გვარ ქალაქის გარდასახადს. პირველ საარჩევანო სიაში მე არ მოვყევი, ანუ თუ მოვყევ, ისიც შეცდომით: იქა სწერია სახელი და გვარი — გიორგი ხუციევი, ხოლო სახლის დაფასება არ შეეფერება ჩემის სახლის ღირებულობას. ამ ამბის გამოსარკვევად მივედი ქალაქის გამგეობაში. ვერაფრად საციამოვნოდ დახვედრისა და სასაცილო გამათობის შემდეგ დამპირდნენ — კენჭს მოგცემთ, ვითარცა გიორგი აბრამის ძეს ხუციშვილსაო. ცოტა ხანს შემდეგ იგივე მითხრა გამგეობის აგენტმა თომაევმა. საბოლოოდ შესწორებულ სიებში მაინც არ ჩამწერეს. აქა სწერია სულ სხვა გიორგი ხუციევი — დიმიტრის ძე, ამბობენ, განსვენებულიაო. რას ნიშნავს იგავი ესე? მე და ჩემს სახლს კარგად იცნობენ გამგეობის აგენტები. გამორთმეულ ფულის ბარათებსა და უწყებებში ყველგანა მწერენ: გიორგი აბრამის ძე ხუციშვილიო. 1893—96 წლების არჩევანების დროს კენჭის უფლება მქონდა. ყოველ გვარ ოფიციალურ ქაღალდებსა და მოწმობაში, რომელიც ხელ მოწერილია ქალაქის გამგეობის აწინდელ წევრთა მიერ, ნაწერილია ჩემი ნამდვილი სახელი, მამის სახელი და გვარი; ორს მოწმობაში პირდაპირ სწერია, რომ მე სახლი მაქვს ტფილისში. ყოველივე ეს თავის დროს მოხსენდა გამგეობას. მაშ რადად გამომრიცხეს საარჩევნო სიებიდგან?

ეს ამბავი ჩვენ მოხსენებული გვქონდა „ივერიაში“, თუმცა ასეთის სასვებით არა. იქმნება, მკითხველმა მაშინ არ დაიჯერა ეს ამბავი და აი, ესეც დამტკიცება! მერე იცით, რა უთხრეს ხუციშვილს, ეს წერილი რომ დაიბეჭდა? დაიბარეს გამგეობაში და აჰარეს, ნუ გეშინიანთ, ჩაგწერავთ სიაშიო. — „მერე როდის?“ — თავის დროზედაო, აქამდე თქვენი ჩაწერა არ შეიძლებოდა სიაში, ეხლა-კი „ცირკულიარი“ მოგვივიდა და ჩაგწერთო. ეტყობა, ის „ცირკულიარი“ ძლიერ გულ-მოდგინედ ჰკითხულობს გაზეთებს და ამასთანავე ფეხ მარდიც ყოფილა. წაუკითხავს თუ არა გაზეთში ზემოხსენებული წერილი, იმ წამსვე გაქცეულა გამგეობაში და უთქვამს: „ჩემსა ზედა აღნიშნულ განკარგულებისა ძალითა შებრალებულ და შეცოდებულ იქმნას მდაღადებელი იგი უფლებათა მათ თვისთა ზედა და ჩაწერილ იქმნას სიაში და მიეცეს მას კენჭი მოსახმარებლად სურვილისა მისისამებრ“.

---

# უცხოეთი

—

**საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.** მოგვყავს რამდენიმე ცნობა ფარსალასთან მომხდარ ბრძოლის შესახებ: ფარსალაზე 25,000 კაცით მისულა ოსმალეთი. ბერძნების მხრივ მარჯვენა მხარეს მდგომ ჯარს პოლკოვნიკი მაკრისი უფროსობდა, მარცხენა მხარეს — პოლკოვნიკი მავრომიხალისი, შუა ადგილას-კი — ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელიც ჯარს თავისის სამაგალითო მოქმედებით ამხნევებდა. მარჯვენა მხარეს ბატონიშვილ ნიკოლოზის ბატარეია იდგა, რომლის თავგანწირულმა ბრძოლამ ჯარისკაცთ დიდი სიმამაცე შესძინა. მოწინავე რაზმები ნაშუადღევის ორს საათზედ შეეტაკნენ ერთმანეთს. ბერძნების მოწინავე რაზმებმა ნახეს-რა ოსმალთა სიმრავლე, უკან დაიწიეს და საბერძნეთის ჯარის მარჯვენა მხარეს დაიჭირეს ადგილი. ოსმალთა ქვეითი ჯარი სამის ადგილიდგან სისწრაფით მიიწევდა წინ. თუმცა ოსმალეთის არტილერია და ქვეითა ჯარი დიდად სჭარბობდნენ ბერძნებს სიმრავლით და ამასთანავე ბერძნების ცხენოსანი ჯარი ტრიკალისაკენ იყო წასული, მაგრამ ოსმალები მაინც უკუქცეულ იქმნენ და 4000 კაცამდე დაჰკარგეს(?). ბრძოლის გათავების შემდეგ ხმა-მაღლა „ვაშა“-ს ძახილმა ბერძნების ბანაკი მოიცვა. ამ „ვაშა“-ს ძახილით ეგებებოდნენ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ კონსტანტინეს, რომელიც თითონვე პირველად გადაერია მტერს და ამით ჯარს მაგალითი აჩვენა მტერთან თავგანწირვით ბრძოლისა.

მაგრამ ვერავითარმა თავ-განწირულებამ ვერ უშველა ბერძნებს; მტრის სიმრავლემ და ძლიერებამ თავისი არ დაიშალა და, როგორც უკვე ვიცით, ფარსალა, ისე როგორც ველესტინო და ვოლო, დღეს ოსმალეთის ხელშია.

—

**საბერძნეთი.** ჩვენ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ ათინაში 2,000 თავისუფალ მოსურნეთაგან ცალკე რაზმი შესდგა, რომელსაც საბერძნეთის მთავრობა ეპირში ჰგზავნის და რომელსაც ახალგაზდა ლამაზი ქალი ელენე კონსტანტინიდისი მიუძღვის წინ დროშით ხელშიო.

როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს შეუტყვია, ამ ქალს ტფილისში უცხოვრია და საბერძნეთში აქედგან ამ თვე-ნახევრის წინად წასულა თავისს ძმასთან ერთად, ე. ი, საბერძნეთ-ოსმალეთის ომის დაწყების ცოტა წინად. ელენეს მამასაც უცხოვრია ტფილისში; კბილის ექიმი ყოფილა იგი. 1868 წ. იგი კრიტში ყოფილა და კრიტელების აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა თურმე; მაშინ იმას სამაგალითო სიმამაცე გამოუჩენია.

ელენეს მეორე ძმა ამ ჟამადაც ტფილისშია და ალექსანდრეს სახელობაზედ დაარსებულს სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლობს. ელენეს ბიძა პოლკოვნიკ ვასოსთან ერთად ყოფილა კრიტში, ეხლა-კი საბერძნეთის მხედრობის მთავარ შტაბის უფროსად არის თურმე(?).

—

**ბოლგარია.** „ნოვ. ვრემიის“ კორესპონდენტის სიტყვით, ვენების კვირაში სამინისტროს გაზ. „მირში“ წერილი ყოფილა დაბეჭდილი, რომლითაც მთავრობა ოპოზიციის წარმომადგენელთ იწვევდა თურმე — ეხლანდელ საქმის ვითარების შესახებ თქვენი აზრი გამოსთქვითო. 14 აპრილს ოპოზიციას კრება გაუმართავს, რომელსაც დასწრებიან: კარაველოვი, ცანკოვი, სტუდენტები, სტამბულოვის მოძღვრების მომხრენი, სოციალისტები და ხუთას კაცამდე გარეშე ხალხი. კრებაზედ აგრეთვე ინგლისის საელჩოს წევრნიც მისულან. სტუდენტებსა და რამოდენიმე სხვა კაცსაც სიტყვა წარმოუთქვამთ. ყვე-

ლა ორატორი [სასტიკად ჰკიცხავდა თურმე რუსეთს, რუსეთის პოლიტიკასა და ბოლგარიის მთავრობას, რომელსაც, ორატორების ჰაზრით, რუსეთი ძლიერ უყვარს. მაკედონიისადმი გულ-მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადებიათ და ხალხი ოსმალეთთან საბრძოლველად მიუწვევიათ. ამ გვარივე კრებები, სოფიის გარდა, სხვაგანაც იმართება თურმე.

კორესპონდენტს ძლიერ აკვირვებს ის გარემოება, რომ ბოლგარიის მთავრობა ასეთის კრებების გამართვის ნებას აძლევს ხალხს, სადაც ასე ჰკიცხავენ რუსეთს. ეჭვს გარეშეაო, დასძენს კორესპონდენტი, რომ მთავრობას ასეთის კრების აღკრძალვა შეუძლიან, იმის ამისათვის საკმაო ღონისძიება მოეპოება, მაგრამ, ცხადია, ქარმა სხვა მხრიდგან დაჰქროლა და მთავრობა თითონაც უარს არ არის, მოუსაზრებლად და წინ დაუხედავად რაიმე სახიფათო გზას დაადგესო.

გაზეთ „მირში“ ზემო მოყვანილ ამბის საპასუხო წერილია დაბეჭდილი, რომლის შინაარსი „ს.-პეტ. ვედ.“-ს მოჰყავს. როგორც „მირი“ ამბობს, დიდნი სახელმწიფონი დიდად იწონებენ სტოილოვის პოლიტიკას. ამასთანავე გაზეთი გრაფ მურავიოვისა და გრაფ გოლუხოვსკის ნოტას ასახელებს, რომელიც თავიანთ სამხედრო აგენტებისათვის გაუგზავნიათ სოფიაში. ამ ნოტაში მოხსენებულია თურმე, რომ ბოლგარია გონივრულად მოიქცა, საბერძნეთ-ოსმალეთის ომში რომ არ ჩაერიაო. ეგევე უთქვას გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს ბოლგარიის მთავარ ფერდინანდისათვის, როცა ეს უკანასკნელი ამ მოკლე ხანად ბერლინში იყო.

შემდეგ „მირი“ მაკედონიის შესახებ ლაპარაკობს. გაზეთის აზრით, ბოლგარიის მთავრობას უფლება არა აქვს,—ოსმალეთს ომი გამოუცხადოს და თავის ნებით მაკედონიაში ჯარები შეიყვანოს. ჩვენ სხვის დაუკითხავად მთელ მაკედონიის მითვისება რომ დავაპიროთ და იქ ჯარები შევიყვანოთო, ამბობს გაზეთი, არა მარტო განმარტოებული დავრჩებით, არც ერთი მეგობარი და ხელის შემწყობი არ გვეყოლება, არამედ დიდს განსაცდელშიაც ჩავაგდებთ ბოლგარიის ბედ-იღბალსაო. თავისს სიტყვებს გაზეთი იმითი ასაბუთებს, რომ მაკედონიის რამდენისამე ნაწილზედ საბერძნეთსა და სერბიასაც უჭირავთ თვალი და ეს სახელმწიფონი ბოლგარიის საქციელს გულ-ხელ დაკრეფილნი არ დაუწყებენ ყურებას. მეორეც ისა, რომ, როგორც გაზეთი ეჭვიანობს, დიდ სახელმწიფოთა ნებადართვით, ოსმალეთი საბერძნეთს კრიტს მიანებებს, ეპირის საზღვრების შესახებ მორიგდება მასთან, რათა მთელის თვისის ძალ-ღონით ბოლგარიას თავს დაესხას. დიდნი სახელმწიფონიო? კითხულობს გაზეთი, და თითონვე პასუხს იძლევა: ისინი ჩვენ გვიბრძანებენ,—მაკედონიიდგან ჩვენი ჯარები დაუყოვნებლივ გამოვიყვანოთო. ბრმა უნდა იყოს კაციო, დასძენს გაზეთი, რომ ვერ დაინახოს, რომ რუსეთის თაოსნობით დიდმა სახელმწიფოებმა გარდასწყვიტეს, ოსმალეთის იმპერია დაიფარონ, მაგრამ, თუ მაინც და მაინც იმის განაწილებაზედ მიდგა საქმე, თითონ ისინივე გადასწყვეტენ, ვის რა უნდა ერგოსო. ჩვენი რადიკალები ძლიერ შემცდარნი არიან, სერბიისა და ჩერნოგორიის მეგობრობას უარს რომ ჰყოფენ: თუ იმათ ჭკუას აჰყვა ბოლგარიის ერი, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, მაკედონიას სრულიად დავჰკარგავთო.

—

**ინგლისი.** როგორც ზოგიერთი გაზეთები დანამდვილებით ამტკიცებენ, საქვეყნოდ მართლდება ის ხმები, რომ ინგლისს უნდა — ტრანსვაალსა და მის მოკავშირეს ორანჟეს რესპუბლიკას ომი გამოუცხადოს და ეს ქვეყნები, მდიდარნი ძვირფასის მადნეულობით, ხელში ჩაიგდოსო. ამისათვის სამხრეთ აფრიკის ესკადრის გასაძლიერებლად ინგლისს დელაგოას ყურეში რამდენიმე საომარი გემი გაუგზავნია ხმელთაშუა ზღვიდგან. ამ ესკადრის ერთი ნაწილი მდ. ლორენსო-მარკესს შეჰყოლია. ხმელეთის ჯარიც გაუძლიერებია ინგლისს თავისს სამხრეთ აფრიკის სამფლობელოში, რომელიც ტრანსვაალს ჰსაზღვრავს. იქ ამ ჟამად 30,000 კაცი ჰყავს. გარდა ამისა, სამხრეთ აფრიკის ჯარისთვის ინგლისი ცხენებს ჰყიდულობს, თოფებსა და სხვა იარაღს და სანოვაგეს ამზადებს და საჭირო ადგილებში სიმაგრეებს აკეთებს.

ინგლისი რომ ტრანსვაალთან ომის გამოცხადებას აპირებსო, ამბობენ გაზეთები, ამას სხვათა შორის, თვალსაჩინოდ ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ინგლისმა თავისი ფლოტი დელაგოას ყურესა და მდ. ლორენსო-მარკესში გაჰგზავნა, რომელთაც ტრანსვაალიდგან ევროპაში მიმავალი უმთავრესი გზა ვერ აშორდებაო. ცხადია, ინგლისელებმა ეხლავე დაიჭირეს თავდარიგიო, განაგრძობენ გაზეთები, რომ ტრანსვაალსა და ევროპას შუა გზა დახშონ და ტრანსვაალის მეგობარ ევროპის სახელმწიფოთ ღონისძიება მოუსპონ, რომ ომის დროს არ უშველონ იმასაო.

---

## დამაკვირდი

(ვერტეიმერი)

ზარმაცი ერთს საათში უფრო ბევრს წვალებას გამოივლის ხოლმე, ვიდრე გამრჯელი მთელს წელიწადსა.

***

ვისაც ჰსურს შეიტყოს თვისნი შეცდომანი, ჯერ უნდა ეცადოს გაღარიბდეს.

***

თუ გინდა რომ ყველას მოსწონდე, შენი საკუთარი „მე“ უარ-ჰყავ.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

კარგა ხანია ცნობილია, რომ გველი დიდ ხანსა სძლებს უჭმელად. უშველებელ გველსაც-კი შეუძლიან თურმე თვეში ორჯერა სჭამოს. ხშირადა ჰხდება, რომ თავისუფლებას მოკლებული გველი სულ არაფერსა სჭამს, რა საჭმელიც უნდა მიუტინონ და სიმშილითა კვდება. ამბობენ, რომ ერთს გველს უჭმელად გაუძლია 370 დღე, ე. ი. წელიწადზედ მეტი, მეორეს სულ არა უჭამია-რა 464 დღეს, ე. ი. წელიწადსა და 4 თვეს. საკვირველი ის არის, რომ ამ უჭმელობისა გამო გველს ძლიერ ცოტა აკლდება წონაში. („D. S. d. w.)

**

სულ ახალმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეგრედ წოდებულ რენტგენის სხივებსა ანუ სინათლეს მხოლოდ ადამიანი ვერა ჰხედავს და ზოგიერთი ცხოველები-კი ხედავენო. აი ამის დამტკიცებაც. ნახევრად ხისა და ნახევრად ტყვიის ყუთში ჩაუსხავთ ფუტკრები, ბუზანკალები და სხვ. მერე ამ ყუთს მიაფინეს რენტგენის სხივები და ყველა შიგ მყოფნი ისეთს ალაგას მიიმალნენ, სადაც რენტგენის სხივი არა სწვდებოდა. რომ მართლა ჰხედავდნენ ეს მწერნი რენტგენის სხივებს, ეს იმით მტკიცდება, რომ ძალით დაბრმავებული მწერები თურმე არ უფთხიან რენტგენის სხივებს და არ იმალებიან. („I l. B.“)

* *

ჩინელებსაც უყვართ თურმე სხვა-და-სხვა გართობა და სეირის ყურება, მაგრამ ისეთისა-კი არა, სადაც სისხლი იღვრება. ხმალში გასვლა, მაგალითად, ჩინეთში სულ არ იციან. აქ ხსენებაც არ არის ისეთის გართობისა, როგორც, მაგალითად: სხვა-და-სხვა ცხოველების ჩხუბი და ჭიდაობა, მუშტის კრივი, დოღი და სხვ. ამგვარი. ჩინელებს უფრო უწყინარი გართობა უყვართ: ქაღალდი, ბზრიალა, ჭადრაკი, დომინო, ფრანი და სხვ. ზოგიერთ ადგილებში-კი ძლიერ უყვართ კუტი-კალიების ჩხუბი. ზოგიერთ ჩინელს კუტი-კალიების გაშენება ხელობად გაუხდია და ისე მოაქვს თავი ღონიერ და კარგ მოჩხუბარ კუტი-კალიათი, როგორც სხვა ქვეყნის კაცს კარგის ცხენითა.

ხშირად ჩინელები დიდ-ძალ სანაძლეოსა სდებენ, რომელი კუტი-კალია გაიმარჯვებს ჩხუბშიაო და ბევრს ამ სანაძლეოში მთელი თვისი სარჩო-საბადებელი წაუგია. კუტი-კალიებს თიხის ჯამში აჩხუბებენ ხოლმე. პირველად რომ ჩასვამენ ჯამში, კუტ-კალიები ერთმანერთს უფრთხიან, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ საშინლად განრისხდებიან ხოლმე (უეჭველია, იმიტომ, ის მეორე მე რად შემეხოო) ეცემიან ერთმანერთს და იმდენ ხანს იბრძვიან, ვიდრე ერთ-ერთი იქვე უსულოდ არ დაეცემა და არ მოკვდება. ხანდახან გამარჯვებულის წინააღმდეგ მეორე კუტ-კალიას მოიყვანენ ხოლმე საბრძოლველად და თუ ესეც დაამარცხა, ახლა მესამეს და ზოგჯერ მეოთხესაც. რაც უფრო მეტს დაამარცხებს კუტი-კალია, იმდენი სახელს გაითქვამს თვით კალიაცა და იმის პატრონიც. ასეთს კარგს მოჩხუბარსა და ძლევა-მოსილს კუტ-კალიას თან და თან ფასი ემატება და ზოგი 50 მანათად და უფრო ძვირადაც იყიდება. ჯერ გამოუცდელი ბრძოლაში კუტი-კალია-კი მანეთ-ნახევარზედ ძვირად არა ჰფასობს. კუტი-კალია ათასობით იყიდება თურმე პეკინის ბაზარში. („П. и Л.“)

* *

გზაში ან სახლში სადმე რომ შეხვდებიან ერთმანერთს, ფრანგი ერთი მეორეს ეკითხება: „როგორ ატარებთ თქვენს თავსა?“ ინგლისელი—„როგორ აკეთებთ საქმეს“? გერმანელი: „როგორა ჰპოვებთ თქვენს თავსა?“ პოლონელი:—„როგორ მიდის საქმე?“ ეგვიპტელი: „როგორა ჰსუნთქავთ?“ ჩინელი: – „როგორ არის თქვენი კუჭი?“ „შესჭამეთ თქვენი ფლავი?“ („П. и Л.“)

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 მაისი

**რიგა.** 1 მაისს, საღამოთი, იურევის რკინის გზაზედ სადგურებ-ბოკენჰოფსა ტელვას შორის ლიანდაგს გადასცა მატარებელი, რომელსაც ჯარი მიჰყავდა. 16 ვაგონი დაიმტვრა. მოკლულ იქმნა 100 დე ჯარის კაცი და ორი ოფიცერი, 60 ჯარის კაცი დაშავდან დღეს წავიდნენ იმ ადგილისაკე, სადაც უბედურება მოხდა, პროკურორი, თანაშემწე პროკურორი სა და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი.

**ათინა.** ვენეციიდგან იუწყებიან, რომ გაწვრთნილი ჯარი და ეპირის ფალანგა გადმოვიდნენ ნაპირას ლურსის გაღმა, იმ ადგილას, სადაც ეს მდინარე ზღვას ერთვის; ამ დროს ჯარს ნიკოპოლისიდგან ზარბაზნებს ესროდნენ: ამავე დროს აღმოსავლეთის ესკადრა იერიშით მივიდა პრევეზაზე.

არტიდგან იწერებიან, რომ ბლირაკდარისი იმარეტთან მტერს შეება. ბერძენთა მხრივ დაჭრილია 1 მაიორი, 4 ობერ-ოფიცერი და 27 ჯარის-კაცი. ოსმალები უკან იწევენ, ჯარის პაწია გუნდის გარდა, რომელსაც ბერძნები ახვევიან გარს. გალდფინოპულოს ბრიგადა წავიდა ხალეკიადესისაკენ და დაიპყრა იგი.

**კონსტანტინეპოლი.** როდესაც ელჩებმა წინადადება მისცეს პორტას, შუამავლობა-შემწეობით დავაბოლოოთ საქმეო, მან უპასუხა, რომ სულთანი საგნის ამ განხილვა-მხოლოდ ბაირამის დღესასწაულის შემდეგ შეიძლებსო.

**ათინა** გამოცხადებულია, რომ ნავთ სადგურს ვოლოს ალყა შემოარტყესო. პრევეზის დაპყრობის ხმა არ გამართლდა, ხოლო ეპირში კი, როგორცა სჩანს, სამხედრო საქმეს მხნედ შესდგომიან. როგორც დომოკოსიდგან მოსული ამბები გვამცნევს, ოსმალეთის ჯარი ისეთს მდგომარეობაშია მოყვანილი, რომ ყველას აფიქრებინებს, ჩქარა მიიტანენ იერიშსაო.

**ლონდონი.** „Times“-ს აუწყებენ დეპეშით დომოკოსიდგან, რომ აქ მოვიდა 3,000 კაციო. ერთის მხრივ ხმა დადის, რომ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელიო; მეორეს მხრივ,—რომ დროებით ზავია დადებულიო. თუმცა ბერძნებს საკმაოდ მაგარი და ძლიერი საომარი ადგილები უჭირავთ, მაინც ყოველსავე ბოლო მოედება, თუ ოსმალებმა მოახერხეს და ამ ბერძნებს მეორე მხრიდგან მოუარეს.

„Moruing Post“-ის ცნობებით, ადვილად შესაძლებელია, რომ დომოკოსი დასცალონ ოსმალებმაო.

**პარიჟი.** აქ ამ აზრისანი არიან, რომ ოსმალეთი 78 მილიონს ომების საზღაურს მოსთხოვს საბერძნეთსაო. დიდნი სახელმწიფონი არავითარს შემთხვევაში არ დაიცისრებენ საბერძნეთს, რომ თავისი ფლოტი მისცეს ამ საზღვაურის გარდასახდელად, ხოლო თუ საბერძნეთი მოისურვებს ამ საზღვაურის ფულად გარდახდას, დიდნი სახელმწიფონი გასინჯავენ,—რა გზით და რა ღონით გაუსწორდება საბერძნეთი წინანდელს მევალეებს. როგორც სჩანს, მართლდება ის ხმა, რომ ოსმალეთს მაშინ უნდა დაეწყო მოლაპარაკება, როდესაც დაიპყრობს დომოკოსს, რომელსაც ბერძნები უკვე თავს ანებებენ.

**ათინა.** არტიდგან მიღებული მოკლე დეპეშა იუწყება, რომ 2 მაისს დილიდგან გრიბოვთან, ფილიპიადესის გზაზედ, სისხლის მღვრელი ბრძოლაა. ატეხილი ორივ მებრძოლთ ბევრი ჰყავთ დახოცილი. ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. დაწვრილებითი ამბავი ჯერ არ არის მოსული.

**კონსტანტინეპოლი.** პორტას ცნობა მოუვიდა, რომ ბერძნების გემები გამოჩნდა არხიპელაგის სხვა-და-სხვა კუნძულებთანაო. ამის გამო დარდანელში მყოფ ესკადრის უფროსს ბრძანება მიეცა, დევნა დაუწყეთ ამ გემებსაო. ეხლა ამ ესკადრის უფროსისაგან დეპეშაა მოსული და იგი აცნობებს მთავრობას, რომ დაბრუნებულმა გემებმა თან მოიყოლიეს 11 იალქნიანი გემები, რომელნიც მომზადებულნი ყოფილან ჯარების გადასასხმელად.

**კონსტანტინეპოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრი შეჰპირდა ელჩთა უხუცესთაგანს, რომ პორტა პასუხს გასცემს ნოტასაო, და აცნობა, რომ დომოკოსი, ბერძენთა ზოგიერთ ბატალიონების სუსტის წინააღმდეგობის შემდეგ, ოსმალებმა დაიპყრესო. საბერძნეთის ჯარმა უკან დაიწიაო.

დღეს, ნაშუადღევს, ელჩთა ბჭობა ჰქონდათ. ტყუილია ის ამბავი, ვითომ ელჩებს უკვე მოლაპარაკება აქვთ დაწყებული პორტასთან ზავის ჩამოგდების შესახებაო. ელჩნი თხოულობენ, რომ სამხედრო მოქმედებასა და ბრძოლას თავი დაანებეთო. პორტას პასუხს დროებითის ზავის დადების შესახებ ყოველს საათს მოელიან და ამის შემდეგ შეუდგებიან შუამავლობის საქმეს.

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | 7,50 |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | $207\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $98\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . | — „ | — „ | $285\frac{1}{2}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . . | — „ | — „ | $249\frac{1}{2}$ |

Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Мая 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.